



LOCATION



Serbia, Montenegro, Georgia and Slovenia

PARTNERS



5.1 ბაღების / ვენახების დაავადებათა პროგნოზირება და მიწოდების ჯაჭვის გამჭვირვალობა

პრობლემა

მაკნებლებისა და დაავადებების გამოჩენა, ისევე როგორც მათი გავრცელება, ხილისა და ყურძნის წარმოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. დაავადების კონტროლი, როგორც წესი, უტყუარი ფაქტების ნაცვლად, გამოცდილებას ემყარება, თუმცა ხელმისაწვდომია მათი პროგნოზირების მოდელები. ამასთან, ეს მოდელები, თითოეული მომხმარებლისთვის ზუსტი და კონკრეტული რჩევის ნაცვლად ხშირად მხოლოდ ზოგადი ინსტრუქციებით შემოიფარგლებიან. გარდა ამისა, არსებობს ადვილად მისაწვდომი მიკვლევადობის მონაცემების დეფიციტი მომხმარებლებისთვის, რომელთაც სურთ იცოდნენ, თუ რომელი პესტიციდებით თუ სხვა ნივთიერებებით არის დამუშავებული მათი საკვები პროდუქტები.

მიზანი

ეს საპილოტე პროექტი ფოკუსირებულია მეურნეობების სრულ მენეჯმენტზე ვენახებსა და ბაღებში, უზრუნველყოფს მაკნებლებისა და დაავადებების მართვის ინსტრუმენტებს პესტიციდების გამოყენების ოპტიმიზაციისა და მოსავლის ხარისხის გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, გამჭვირვალე მიწოდების ჯაჭვის შექმნის მიზნით პესტიციდების გამოყენების მონაცემები გროვდება და ინახება.



როგორ

DNET agroNET პლატფორმა გამოიყენება ფერმერებისთვის მაკნებლებისა და დაავადებების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მონაცემთა შეგროვებისთვის მიწოდების მთელ ჯაჭვში და თითოეული დაინტერესებული მხარისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. agroNET ახდენს ინფორმაციის შეგროვებას პესტიციდების გამოყენების შესახებ Pulverizadores Fede-ს და "ქლაუდ" სერვისთან დაკავშირებული „ჭკვიანი“ სასხურებელი სისტემებისგან, რაც მას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს მონაცემების შეყვანა პროდუქტის პასპორტში.

"ნივთების ინტერნეტის" (IoT) მონაცემები მონტაჟდება და Pulverizadores Fede-ს სასხური სისტემებიდან მიღებული ინფორმაცია ინტეგრირდება, რათა მოხდეს გარემოს, შესხურების ციკლებისა და მონაცემების შესახებ ინფორმაციის უშუალოდ მინდვრებიდან და მანქანა-დანადგარებიდან მიღება. მთელი საპილოტე პროექტის განმავლობაში ხდება მონაცემების შეგროვება-დამუშავება და გენერირდება ანალიტიკური მონაცემები, რომლებიც რეალურ დროში უზრუნველყოფს ინსტრუქციებს ფერმერებისთვის. „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მონაცემთა გაცვლის პროტოკოლი (OriginTrail) გამოიყენება ჩართულ მხარეთა შორის ნდობისა და გამჭვირვალობის და ღირებულების ჯაჭვში გაცვლილი მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. სერვისი უზრუნველყოფს სხვადასხვა რეგიონის ბაღებსა და ვენახებში მაკნებლებისა და დაავადებების კონტროლს ციფრული პროგნოზირების მოდელისა და "ქლაუდ" სისტემასთან დაკავშირებული სასხური სისტემების გამოყენებით.

სარგებელი

საპილოტე პროექტი მიგვიყვანს პესტიციდების გამოყენების ოპტიმიზაციამდე, რაც გამოიწვევს ხარჯების შემცირებას და სხვადასხვა ხილისა და ყურძნის ხარისხის ზრდას. იგი ასევე უზრუნველყოფს საიმედო მიწოდების ჯაჭვს, რომელიც დაფუძნებული იქნება ყველა დაინტერესებული მხარისგან შეგროვებულ ინფორმაციაზე.